№ 247 ნოემბერი 21, შაბათი 1892 ნოემბერი 21, შაბათი № 247

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლეში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლეებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

დღესასწაულობის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 24 ნოემ.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი"

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:
1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში (Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)
2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.
3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили."

რედაქტორი გამომცემელი გამოგცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

„ბოდიშს ვიხდით, ქართული არ გვეხერხება"...

წაიკითხეთ, ბატონებო, ჩვენის გაზეთის გუშინ-წინდელ ნომერში დაბეჭდილი წერილი კახეთიდამ? თუ არ წაგიკითხავთ, გირჩევთ წაიკითხოთ. ბევრს საყურადღებო რასმეს ამოიკითხამთ და გონიერ მასალა-საზრდოსაც მისცემს თქვენს გონებას სავარჯიშებლად. საქმე-კი მარტივია და უბრალო.

შეყრილან კახეთის დედა-ქალაქში კახეთის კეთილშობილნი, ამოურჩევიათ თავიანთ შორის, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, თავსმჯდომარე და შესდგომიან სჯასა და ბაასს, რა მოვაგვაროთ, რა მოვახერხოთ, რომ სულით-ხორცამდე არ დავიღუპნეთ, არ გავღატაკდეთ, არ ამოვსწყდეთო და სხვა. ერთის სიტყვით კედილ-შობილთა შეკრებილება იკვლევდა და იძიებდა სალსარს, თუ როგორ შევქმნათ ნივთიერი ქონება, რომ პატარა სული მოვიბრუნოთო.

ვინ ამბობს, ნივთიერ ქონებას, სიმდიდრეს დიდი ფასი, დიდი მალიათი და მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, თუ ნივთიერმა სიმდიდრემ გადათელა სულიერი სიმდიდრე, დასჩაგრა, პარპაშობა დაიწყო, მაშინ ნივთიერი ქონება საშიში შეიქმნება და, სარგებლობის მაგიერ, შეუძლიან ვნება მოიტანოს. ამას იმაზე მოგახსენებთ, რომ კრების ორატორები უცხო ენაზედ ლაპარაკობდნენ თურმე და კრების წინაშე ბოდიშს იხდიდნენ, უკაცრავად, ქართული არ გვეხერხებაო.

ბატონო, ნივთიერი ქონება იმისთვის არ გვინდა, რომ ცხოვრებისთვის ბრძოლაში არ გავწყდეთ, თავი შევინახოთ, დავრჩეთ ისევ ის, რაც ვყოფილვართ? მაშ სხვა რა გონიერი აზრი უნდა ჰქონდეს ქონების შეძენას? კრების ზოგიერთ ორატორთ თვით საქმით ეხლავე უარ უყვიათ სამშობლო ენა; ეტყობა გადასხვაფერებულან, გადაქართველებულან და რიღას შეძენას ისწრაფიან, თუ-კი ყველაზე უძვირფასესი დაუკარგავთ?

მაინც, არ გიკვირთ, რა დრო დაგვიდგა? შეკრებილან ერთად ამოდენა ხალხი და გაიძახიან, ქართულად არ გვეხერხება ლაპარაკი, სხვა ენა უფრო კარგად ვიცითო და ნებას თხოულობენ, უცხო ენაზე გვალაპარაკეთო, მერე სად? თელავში, საცა ყველანი ქირთველთ ჩამომავლობისანი არიან.

თელავიდან ოცი-ორმოცი ვერსი რომ გაიარო მთისაკენ, წააწყდები ტყაპუჭიან ხევსურთ, რომელთაც თავიანთ სიცოცხლეში უცხო ტომისა მარტო კაკარდიანი აქციზის მოხელე თუ უნახავთ და ამათი მეზობლები-კი, თელავში შეკრებილნი კეთილშობილნი ქართულს ველარ ახერხებენ.

ტფილისში შეკრებილნი თავად-აზნაურნიც ბანკის კრებაზედ აგრე რიგად არ ეტანებიან ქართულს. მაგრამ ტფილისი დიდი ქალაქია, ჩვენმა მეზობლებმა ქართული არ იციან და, ვინც იცოდა, ისინიც სიამოვნებით ივიწყებენ, რადგან ქართულს „ფასი დაეკარგა" და აღარ საჭიროებენ მის ცოდნას; ამისათვის ორატორებს ეპატიებათ უცხო ენაზე ლაპარაკი. ამბობენ, ქართული თავაზიანობა და ჩვენი განთქმული სტუმარ-მოყვარეობაც ამას მოითხოვსო.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ თელაველებს რა-ღა დაემართათ? არ იფიქროთ, თელავი დიდი ქალაქი ბრძანდებოდეს, სწავლა-განათლება სდუღდეს და გადმოდიოდეს იქ. არა, თელავი სასწავლებლებზე მწყრალად გახლავთ, უფრო კაი მოზდილი სოფელია, ვიდრე ქალაქი. ეგ უფრო სამწუხაროაო იტყვის ვინმე გულ-დაწყვეტით...

კრებამ დაადგინაო, იწერება ზემოხსენებული კორესპონდენტი, შევიკრიფოთ ძალ-ღონე, დავაარსოთ საზოგადოება და ჩვენი ნაჭირნახულევი ღვინო ჩვენვე გავყიდოთ და თავი დავიხსნათ ამ გზით სირაჯისა და ჩარჩისაგანაო.

რა თქმა უნდა, ეს დაწყებულება ფრიად კარგია, არამც თუ დღეს, აქამდისინაც უნდა დაგვეარსებინა ასეთი საზოგადოება, რადგან მარტო შეერთებულის ძალ-ღონით შეიძლება შეიქმნას თვალ-საჩინო ნივთიერი ქონება ისეთის მწარმოებელ ერში, როგორიც ჩვენი ერია.

მაგრამ აქაც კეთილს საქმეს ერთმა, კრების დროსა და ვითარების შეუფერებელმა მუხლმა გარდაწყვეტილებისამ, მუხლთ მოჰკვეთა და გააუკუღმურა. კრებას გადუწყვეტია, კარი დავკეტოთ და კეთილშობილთ გარდა ნურავის მივიღებთ იმ საქმეში, რომელსაც ჩვენ ვიწყებთო. სწორედ შეუფერებელ საქმედ მიგვაჩნია ესეთი განზრახვა თელავის კეთილშობილთა. განა სირაჯისა და ჩარჩის კლანჭებისგან დახსნა მარტო კეთილშობილთათვის არის საჭირო? განა უფრო მეტად არ ეჭირვება ეგ დახსნა იმ კაცს, რომელიც დღე მუდამ ოფლსა ჰღვრის ვენახის შესამუშავებლად და თითონ ვალებისა და ვახჩის მეტი არა რჩება-რა? დავიჯეროთ, ქართველს კაცს გულიც გაუგრილდა? სწორედ საკვირველებაა! ენასთან ლამის გულიც ხელიდგან გამოგვეცალოს.

თუ ოდესმე მიგირთმევიათ მოხარშული წაბლი, გეცოდინებათ, რასაკვირველია, რა გემრიელია ეს ხილი. მოგეხსენებათ ისიც, რომ პირის ჩასატკბარუნებლად ყველაზედ უფრო კარგს წაბლს შეინახამთ, სიამოვნებით პირში გააქანებთ და ჭიანი-კი გამოაგდგებათ. კიდევ კარგი, თუ მალე მიხვდით და მალე მოიშორეთ პირის სიმწარე. თუ ეს ვერ მოახერხეთ, გაფუჭებული წაბლი უსიამოვნოდ გაგხდით და კარგა ხანს ცუდს გუნებაზედ დაგაყენებთ.

სწორედ დაჭიანებული წაბლია ის მუხლი განზრახულის წესდებისა, რომელიც ამბობს, კარი მაგრა ჩავკეტოთ და ჩვენს გარდა ნურავის გავურევთ ამ საქმეშიო.

ა. ფრონელი

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მივიღეთ ტფილისის ხელოსანთა შორის შეკრებილი 7 მ., ქიზიყში ცეცხლით დაზარალებულთა სასარგებლოდ. შემომწირველთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

⁂ როგორც შევიტყეთ, ქალ-ქის მოურავი მომავალ დეკემბერში წარუდგენს საბჭოს თავისს ანგარიშს ისის შესსხებ, თუ როგორ მოიხმარა ის ფული, რომელიც საბჭომ გადასდო ხოლერასთან საბრძოლველად, რა ღონისძიებანი იყო მიღებული ხოლერობის დროს და სხვანი. ანგარიში ძრიელ ვრცელი გამოვა, რადგან შიგ მოთავსებულ იქმნება განხილვა საე-

ფელეტონი

კინტოს სამშობლო

(სახუმარო ლექსი)

ორთაჭალასა ვშობილვარ,
იქ მომიჭრია ჭიპი მე,
იქ ძმა ბიჭები მეგულვის,
იმათი სულის ჭირიმე!

—

იქ ბევრჯელ სისხამ დილაზედ
გაჭკივის ტკბილი საჭარი,
ზურმუხტის ფერო სამშობლოვ,
შენი ბადალი სად არი!

—

არ გავცვლი გეოს დუქანსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი ორთაჭალასა
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

—

მე მირჩევნია ბლომანქეს,
სუფრას გაშლილსა ფერადა
ჯამ-ნახევარი ლობიო,
გვერდთ მედგას სველი ხელადა!

—

არ მინდა ფრაკი-მუნდირი,
ხანჯალი მეკრას წელზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!

—

სხვაგან რომ მომცენ დიდება,
დამკიდონ ეპალეტია,
იქნება ზოგსა იამოს,
შეუჯდეს თავში რეტია,
მე ერთი ცოდვის ბიჭი ვარ,
ეგენი ჩემთვის მეტია!

—

თურმე არა დროს მწყერ-ჩიტა
არა შეჯდება ხეზედა,
არ გავცვლი არც მე სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!

ჯიმშერ

სოფიოს „ვეჩერი"

I

ზაფხულის გრილი საღამო იყო, ახლად შებინდებული. გალაღლადებულ მზესაც ძილი მორეოდა და თავი ჩაეფარებინა მწვანედ შემოსილ გოგოსნის მთებს უკან. დასავლეთის მხარეს, მთებს იქით, ცა ატლასის ფრად იყო შეწითლებული და ალაგ-ალაგ წმინდად გაპენტილ მატყლის მზგავს ღრუბლებს სპილენძის ფერი მისცემოდა; ზოგან ღრუბლებს, შუა ციური სიმშვენიერე სარკის მზგავსად გამოანათებდა. მისი მშვენიერი შუქი ნელ-ნელა ილეოდა, თითქოს ქვეყანას ეუბნება: „კმარა, რაც ისაქმე, წადი, მოისვენეო".

ს. ქალაქის პაწაწა ბულვარზედ ალაგ-ალაგ დასეირნობდნენ ცალკ-ცალკე ჯგუფი ქალებისა და ვაჟებისა. ჩვეულებრივზედ-კი ხალხი გაცილებით ცოტა იყო. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმ ღამეს შურდულაანთ გევოს ცოლს, სოფიოს ვეჩერი ჰქონდა და დიდ-ძალი ხალხი ჰყავდა მიწვეული. მართლაც, ჯერ ახლად იყო შეღამებული, რომ მეზურნე სარქისამ თავის ყარაბინის მზგავს ზურნას დაუწყო წუწუნი. ამ ხმაურობაზედ უცებ ორი ახალგაზდა მოსეირე ქალი შედგა, ყურის გდება დაუწყეს.

— ქა, საიდამ მოისმის ზურნის ხმა? იკითხა ერთმა.

— ვითომ არ იცი რაღა, რომ მკითხავ კიდეც; უპასუხა ანიკომ.

— არ მოგიკვდეს რიმსო, რომ არ ვიცი.

— მაშ დაპატიჟებული არა ხარ?

— სადა ქა, ან ვისთან?

— ქა, შენი ნათესავია და მე მკითხამ?.. ქა, ის თავლაფიანი მაშ კარგად იყო გამოჭიმული შენი ძმის ქორწილში, იმისი მაინც რატომ არ შერცხვა...

— რა ვქნა ქა, რომ კიდენ ვერ მივხვედრივარ, ვისზედ ამბობ? შენ გენაცვალე, ანიკოჯან, ერთი მითხარი, ვისზედ ამბობ?..

— ქა, ვისზედ უნდა ვამობდე, რა უცნობი ქალი ის არის... გოგო, მახოხაანთ როსტომას ქალს სოფიოს არ იცნობ?.. იმ ახლად მარაქაში გარეულსა?.. რა ერთიანად გადაირიექა!..

— მართლა ამბობ, თუ სტყუი?!. უი, თვალიც-კი გამოსძვრება... ხედამ იმ თვალ-დამდგარსა, როგორ არ შერცხვა იმ უსინიდისოს, რომ არ დამიძახა. ქა, ის რომ ჩემ მულ მაშოსთან მწყრალათ იყოს, მე ხომ არაფერი არ დამიშავებია?!.

— რიმსოჯან, არ იცი რა ამპარტავანი გასაქრობია?.. ალბად ტყუილად ეგ მოუდია მიზეზად, რაკი არა სდომებია დაპატიჟება, თორემ შენი იქ ყოფნით რა დააკლდებოდა?.. სადღა არის ნათესაობა?!.

— ანიკოჯან, მე იმაზედ ჯავრი არ მამდის, რომ არ დამპატიჟა, ერთი ადამიანმა იკითხოს, თუ თითონ ვინა გდია, რომ „ვეჩერსა" ჰმართავს?.. შვილები დაბღარძული გამოჰყავს, ქმარი ცუდად დაეთრევა, ჯერ ამით ოთხჯერ აულაგებია დუქანი, ისე გაძონძილი დადის, რომ გეგონება ბუხრის მწმენდავიაო და ცოლი-კი ჰიჰარა ვეჩერსა ჰმართავს...

— მართალს ამბობ, რიმსო-ჯან, მაგას ვიღა კითხულობს, თუ საიდამ ან როგორ მოუთავსებია. სახელი-კი იყოს, რომ „ვეჩერი" გაუმართნია, ვინ დაგიდევს თუ ქმარშვილები დაძონძილი გამოდიან. სადაც იმისი არ შერცხვა, რომ იმ დღეს ჩვენ მეზობელ ჭყეტილაანთ მათოს ორი ლეჩაქის ფასი „ატკაზი" უყო, მაგ საქმის დამჯერი, რას არ მოახდენს.:. ვითომც ეგ ვეჩერი-კი იაფად დაუჯდება?.. ნახე ხვალ, ხვალ ზევით რანაირად ცხვირში ამოიკრას, ვნახოთ საიდამღა დაიხსნის იმ გი... ფუ ეშმაკო, კინაღამ არ წამცდა...

— რა თქვი, რა თქვი, ანიკოჯან, ნუღარ გაწყვიტე სიტყვა, თქვი, შენ გენაცვალე...

— არაფერი ქა, ისე სიტყვა წამ-

ქიმო და სასანიტარო ღონისძიებათა, სადეზინფექციო სამუშაოთა და სხვანი. აგრეთვე იქმნება მოყვანილი ცნობანი, სულ რამდენი კაცი გახდა ავად ხოლერით ტფილისში, რამდენი გადარჩა, რამდენი გარდაიცვალა, ქალაქის რომელ ნაწილში უფრო ძრიელ იჩინა თავი ეპიდემიამ და რა მიზეზით. ამისთანა ვრცელი ანგარიში საინტერესო იქმნება არა მარტო საბჭოსათვის, არამედ მთელის ჩვენის ქვეყნისთვის და თვით მეცნიერთათვისაც.

⁂ ქალაქის გამგეობამ ამას წინად შეუკვეთა პეტერბურგის ქარხანას სადეზინფექციო კამერის გაკეთება თავისის მოწყობილობით. ეს კამერა მზად იქნება მომავალის წლის დასაწყისში, ქალაქს-კი ჯერ არა აქვს დამზადებული ამ კამერასთვის შესაფერი სახლი, რადგან აქამომდე ვერ მოხერხდა ადგილის შეძენა ამ შენობისთვის. ეხლახან ქალაქის ექიმმადეზინფექტორმა რაზამატმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომ სადეზინფექციო შენობა გაკეთდეს მადათოვის კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, საქალაქო მიწაზედ. ეს აზრი მით უმეტეს მოსაწონია, რომ ამ ადგილას ყოველ ზამთრობით გააქვთ დიდ ძალი მიწა და მტკვარში ჰყრიან. ამ მიწის წყალობით აქ მთელი მოედანი გაკეთდება ხოლმე, თითქმის ოთხი დღიური სწორე მიწა. ქალაქი ჰხარჯავს წელიწადში ას თუმანს, რომ გაიმაგროს ეს მოედანი, მაგრამ მოდიდებულ მტკვარს ყოველ წელს მიაქვს ეს მიწა. ბ-ნი რაზამატი ურჩევს ქალაქს, რომ ამ ას თუმანს მიუმატოს ორას თუმნამდე ის ფული, რომელიც გადადებულია მიწის სასყიდლად სადეზინფექციო კამერასთვის, და ამ თანხით გაავლოს მაგარი კედელი და ზედ ააშენოს კამერის სახლი. ხსენებულის კედლის შემწეობით, ქალაქი სამუდამოდ დაიმაგრებს ოთხის დღიურის მოედანსაც შუაგულ ქალაქში, რაიცა ფას დაუდებული იქმნება, და აღარც შემდეგში დაეხარჯება ას-ასი თუმანი წლიურად ნაპირების გამაგრებაზედ. როგორც ისმის, ქალაქის გამგეობას მოსწონებია ხსენებული წინადადება ბ-ნ რაზამატისა.

⁂ ხვალ, 22 ნოემბერს, დანიშნულია წლიური აქტი ტფილისის რეალურ სასწავლებლისა. ამ აქტზედ სხვათა შორის ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი ბ-ნი ვ. ს. მიქელაძე წარმოსთქვამს სიტყვას: „ამერიკის აღმოჩენის მნიშვნელობა, ქრისტეფორე კოლუმბი“.

⁂ ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში ხუთი თავისუფალი ვაკანსია იყო. 15 ნოემბერს კენჭის ყრა მოხდა კანდიდატ ქალების არჩევანისა. ამორჩეულ იქმნენ: ნადვორნი სოვეტნიკის მანსუროვის ქალი—ნინა, ისარლოვის ქალი—მაგდანლია, იგივე ქეთევანი, კოლეჟსკი სეკრეტარის ამირაღოვის ქალი—ელეონორა და შტაბ-კაპიტანის ალექსანდროვის ქალი—ევგენია, ხოლო მეხუთე ვაკანსიაზედ კანდიდატი ქალი თვით კავკასიის მთავარ-მმართებელმა უნდა აირჩიოს.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნ სტ. ლისიციანს შეუსყიდნია ბ-ნ ნაზარიანისაგან სომხური ჟურნალი „აღბიური“, „თარაზი“ და რუსული გაზეთი „ანონსი“. როგორც ამბობენ, პროგრამმა „ანონსისა“ სრულიად შეიცვლება, ახალი თანამშრომლები მოუწვევიათ და სურთ გაზეთი უფრო კარგად აწარმოვონ, ვიდრე აქამდისინ მიდიოდა ამ გაზეთის საქმე.

⁂ შაქარს თანდათან ემატება ფასი: ტფილისის საწვრილმანო დუქნებში გირვანქა შაქარი 21 კაპეიკად იყიდება.

⁂ სოფ. მარიამ-ჯვარი (ტფილისის მაზრა): ჩვენ ქვეყანას სხვა-და-სხვა ტომის ხალხი ეტანება, თითქო თავისუფალი მამული ბევრია აქ და მოსულები საფუძვლიანად მკვიდრდებიან. დუხაბორებს და გერმანელებს აუარებელი მამული დაუთმო მთავრობამ დასასახლებლად, ჩვენ მარიამჯვრელებს-კი ლამის სული ამოგვხდეს უმამულოდ. ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა რომ შეიტყოთ, სწორედ შეგვიცოდებთ. ამ პატარა სოფელში სულ ცამეტი კომლია, ნადელად მიეცა კომლს ათი დღიური; სულ, მაშასადამე, 130 დღიური. შარშან წინ წყალმა მოგვტაცა 30 დღიური სახნავი მიწა, დაგვრჩა ცამეტ კომლს ასი დღიური, სულ ეგ არის სახნავადაც დ საძოვრადაც. მამულის პატრონთ ტყე შეგვიკრეს დ ლამის ჩვენის პირუტყვით სულ მთლად ამოვიხრჩოთ. ეს ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა, უმამულობა, ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს მოვახსენეთ და ვემუდარებით, დაგვიხსენ გაჭირვებისაგანა, თორემ ცოლშვილით ამოვწყდებით. თუ ბ-ნმა გუბერნატორმაც არ გვიშველა, არ ვიცით მერე, რავქნათ. თითო სულზე დღე-ნახევრის მიწა არ მოდის და აბა როგორ ვიცხოვროთ, ან ხელმწიფეს რითი გავცეთ პასუხი.

⁂ „Москов. Вѣд.“-ს დეპეშით აცნობებენ პეტერბურგიდგან, რომ ტარიფის კომიტეტს ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ ახალი ტარიფი დაუნიშნავს მგზავრთათვის. 50 ვერსის მანძილზედ ბილეთის ფასი იგივე დარჩება, რაც აქამდე იყო; 50 ვერსის მეტზედ-კი ფასს თანდათან აკლდება და 400 ვერსის მანძილზედ 33°/₀-ით ნაკლები იქნება, ვიდრე ეხლაა, ესე იგი 7 მ. 50 კაპ. მაგივრად იქნება 5 მ. 20 კ. 800 ვერსის მანძილზედ 50°/₀-ით ნაკლები იქნება ეხლანდელზედ. ე. ი. 15 მ. 75 მაგიერად, იქნება 7 მ. 90 კ. მეორე კლასის ბილეთი $1^1/_2$-ჯერ მეტი ეღირება, ვიდრე მესამე კლასისა. 1 კლასის ბილეთი ერთი სამად მეტი, რაც მესამისა. ახალ ტარიფს შემოიღებენ მომავალ 1893 წლის 1 იანვრიდგან.

⁂ როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ტფილისის ნოქრები საურთიერთო ნდობისა და დამხმარებელ საზოგადოებას აარსებენ. „Н. О.“-ს სიტყვით, ეს საზოგადოება ხვალ, 22 ნოემბერს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სამუსიკო კრუჟოკის დარბაზში კრებას მოახდენს საზოგადოების წესდების შესამუშავებლად.

მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა ქუთაისის საპატიმროს კომიტეტის დირექტორად კოლლეჟსკი ასესორი ქუთათელიძე.

სტავროპოლის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორს, კოლლეჟსკი სოვეტნიკს თვალჭრელიძეს სტატსკი სოვეტნიკობა ებოძა.

ქართული თეატრი

ბენეფისი აბაშიძისა

18 ნოემბრის წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რა რიგად უყვარს ჩვენს საზოგადოებას იმ პიესების მოსმენა, რომლის შინაარსიც ჩვენს ცხოვრებას შეეხება. ავია თუ კარგიაო, ქალო შენი ქმარიაო, სწორედ ეს ანდაზა გაგონდება ამ შემთხვევაში. პარიჟის მელოდრამებმა, ბატონო, ილაჯი წაიღეს. მათი შინაარსი არცარაფერს სულს ეუბნება, არც გულს. მერე ჩვენის კურთხეულის არტისტების არც ნიჭი, არც მიხვრა-მოხვრა, არც ტანთ-ჩაცმულობა არ შეეფერება უცხო ცხოვრების პიესას და ისიც ურიგოდ დაწერილს. იმავე არტისტებს სრულებით ველარა სცნობ, როცა ქართულ პიესას თამაშობენ. ერთი-ერთმანეთზედ უკეთესები არიან. ანსაბლიც მშვენიერია ხოლმე, როლების გაგებაც ეტყობათ, მიხვრა-მოხვრაც ლაზათიანი აქვთ, ხომიერებაც ემჩნევათ და სხვ. ერთის სიტყვით, ნამდვილს არტისტებს მოგაგონებენ. აბა შეჰხედეთ ჩვენის თეატრის დამამშვენებელს და უხუცესს მოღვაწეს ვ. ა. აბაიძეს აკოფას როლში, ცის-ფერი ატლასის ახალუხით გამოკვანწულს, ყელზე ჭრელ სირაჯულ ქალაღაია გადაგდებულს და შეადარეთ ფრაკიან აბაშიძეს, უეჭველად იტყვით, სულ სხვა-და-სხვა არტისტს ვხედამ სცენაზეო. აბაშიძე—აკოფა ნათელს მოჰფენს თქვენს გულს, აბაშიძე—ფრაკიანი-კი, სწორედ ვერ გეტყვით, რას გაგრძნობინებთ. განა მარტო აბაშიძეა ხოლმე კარგი ჩვენის ცხოვრების დამასურათებელ პიესაში? სხვა დანარჩენი არტისტებიც ასეთნივე არიან. გაბუნია — ხანუმა, გაბუნია — ქვრივ-დედაკაცების როლში შეუდარებელია, უკეთესს ველარ ინატრებთ. მარტო ის რადა ღირს, როცა ხანუმა ენით აუწერელის სინამდვილით ხელცახოცში ალაგებს ქორწილის ხმელ-ხილსა. ასე გასინჯეთ, უსიცოცხლო და უფერული არტისტიც-კი უნარს იჩენს ხოლმე თავის შესაფერს როლში.

ამ სახით, მოკლედ რომ მოვსჭრათ, ხანუმას წარმოდგენამ უნაკლოდ ჩაიარა, ყველა თავის ალაგას იყო და საზოგადოებამაც დიდად იმხიარულა. წრევანდელს სეზონში ასე ხალხით სავსე თეატრი თითქმის არ გვინახავს. რასაკვირველია, საზოგადოება მოაწყდა თეატრს, იმისთვისაც რომ ბენეფისი იყო სასიამოვნო არტისტისა, თვით პიესამაც-კი რომელიც სავსეა ოხუჯობით, ნაკლებად არ მოიზიდა ხალხი. მაინცა და მაინც საზოგადოების მრავლად მოსვლა თეატრში ამტკიცებს, რომ ჩვენმა ხალხმა იცის დაფასება სინიდისიერის არტისტისა და ეს გარემოება ყოველთვის მხედველობაში უნდა იქონიონ ჩვენმა არტისტებმა.

მობენეფისეს მრავალი ძვირფასი საჩუქარი მიართვეს.

პიესის დასასრულ ითამაშეს ძველი, მაგრამ მშვენიერი ვოდევილი „გულმა იგრძნო“. რამდენადაც სუსტნი იყვნენ კანდელაკი, გედევანოვი, იმდენად კარგი და შეუდარებელი იყო ქ-ნი საფაროვისა, რომელმაც წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ქართულ წარმოდგენაში. წინადაც გვინახამს საფაროვისა ამ პიესაში, მაგრამ ასე კარგად არას დროს არ უთამაშნია. ცქრიალა, გულ-უბრ-

---

ცდა, ვთქვი რაღა...

— არა, შენ გენაცვალოს ჭრიმსო, თქვი, რასაც ამბობდი, ხომ იცი, გულში დავიმარხამ...

— აბა დაიფიცე, რომ არსად არ იტყვი...

— არ მომიკვდეს ჩემი ვანიჩკა, რომ არსად არ ვიტყვი.

— რაკი ვანიჩკას სახელი ახსენე, გეტყვი. მხოლოდ კიდევ გთხოვ, გენაცვალე, არსად არა გრჯოდეს-რა. ხომ იცი, იმ კაპასის ყურში რომ ჩავარდეს, ქვეყნის მასხარას გამხდის, არი იცი რა აშაღლარია?.. ქალო, თურმე ამ თქვენს პრანჭია სოფიოს და თავის ქმარსა ამ ერთის კვირის წინად დიდი ჩხუბი ჰქონიათ ღამე და დღე ამ ვეჩერის გამართვაზედ. ეს მე მიამბო იმათმა ზეზობელმა—ფირუზაანთ სალომემ. ქმარი ეხვეწებოდაო, „შენ შენი ღმერთი, სოფიო, თავი დამანებე, მე ვეჩრის თავი არა მაქვს, ფული არა მაქვს ყმაწვილებს ლუკმა პური ვუყიდოვო, სახლ-კარიც, ხომ იცი, რომ ვალის გამო დაგირავებული მაქვსო. დღეს არის თუ ხვალ პრისტავი ოქვს დამადგებაო, სირცხვილია, რა პირით უნდა გამოვიდე ქვეყანაო, ან ვინც გაიგებს, რას იტყვისო“. ქალო, ცოლი მაინც თავისას არ იშლიდაო, ქმარს ასე უპასუხებდაო: „ჯანი გაგვარდესო, ვალში ნუ ჩავარდებოდი რაო, წადი, თავი დაიგირავე, სადაც იყოს, ფული მიშოვნეო, მე უნდა ჩემი სიტყვა ავასრულოვო, დამიკვეხნია და „ვეჩერი“ უნდა გავმართოვო“. ქალო, ასე შეჯდა ეშმაკის ცხენზედა და დღე-ღამ აღარ მაასვენა ის საცოდავი კაციო. ხან ტირილი დაუწყოვო, ხან გაუწყრაო, ორი ღამე თურმე თავიანთ დედაანთას გაქცეულა და ის ქორფა ყმაწვილები თურმე იმ საბრალო კაცის სინაბარას გაუშვია, ასე რომ ბოლოს თავის სიტყვა გაუყვანია... (არსად არა იცოდე-რა, შენ გენაცვალე). რაკი საწყალ კაცს ფული არა ჰქონია, ერთი ვერცხლის სურა, ერთი აზარფეშა და თავის ქმრის ვერცხლის ქამარიც სამ თუმანში დაუგირავებია ანტონაანთ ფარსადანასთანა და იმითი ვეჩერი გაუმართნია. გაიგე?

— ვუი, ბარემ დედამიწა გასქდეს და შიგ ჩაიტანოს, ის არ ურჩევნია? ქა, გაგონილა, ვეჩრის გამო სახლის ზინეთი დავაგიროვო?!. ვუი, პრანჭი, პრანჭი, ჩაგქოლე მაგ გაბღენძილ თავში...

ამ ლაპარაკის დროს ხევისა და ციხის უბნიდამ ჯგუფ-ჯგუფად ცალკ-ცალკე გამოჩნდნენ სხვა-და-სხვა ფრად მდიდრად ჩაცმული ქალები. ამათ წინ მიუძღვოდათ პაწაწა, 14—15 წლის ქალები, რომლების წინაც გაძონძილ ახალუხებში გახვეულნი, ძველ ქალამნებით და ნაბდის ქუდებით ფარნებით ხელში მოდიოდნენ სახლის ბიჭები. ეს ხალხი ხანდისხან შედგებოდა ხოლმე, რადგანაც ცხონებულ დაბალ ოჰანეზას ცოლს ქეთევანს აღარ შეეძლო სიარული. ქეთევანა იქნებოდა ოთხმოცის წლის დედაკაცი. ამას თუმცა ძალიან ეჯავრებოდა „ვეჩერები“, მაგრამ მაინც არას დროს არ მოაკლდებოდა, სადაც მიწვეული იქმნებოდა მისი მშვენიერი რძალი მათიკო. ქეთევანა ბევრჯელ დაუპატიჟებლადაც მიდიოდა, რადგანაც არ უნდოდა მოშორება რძალსა და არც ვისმეს ანდობდა, რომ სადმე წაჰყოლოდა. მათიკოს როგორ შეეძლო უარი ეთქვა თავის დედამთილისათვის, ან როგორ გაჰბედავდა უდედამთილოთ რასმე. მეზობლები იმასაც ამბობდნენ, ერთხელ რაღაც სიტყვა წასცდაო საწყალ მათიკოსაო, ცოტას გასწყდა, საცოდავი არ დაარეტიანაო, იმდენი უბაგუნა თავშიო.

მოხუცი ქეთევანა ისე არ დაბრუნდებოდა ვეჩრიდამ, რომ ჯიბეები ნედლისა და ხმელის ხილით გატენილი არა ჰქონოდა. ამ ხილს მეორე დღეს თავის შვილის-შვილებს მუჭა-მუჭა დაურიგებდა ხოლმე.

II

შურდულაანთ გევოს სახლი ყაზარმის უბანში იყო. სახლის ზემო სართული ამ საღამოს ისე იყო განათებული, რომ შორიდგან მაყურებელიც-კი კარგად გაარჩევდა გრძელს აივანზედ მოსიარულე ადამიანებსა. დარბაზი მთლად გაეკაშკაშებინათ. აივანის მარცხენა მხარეს შუშაბანდის ოთახში ჩალის სკამებზედ ჩამომსხდარნი იყვნენ მეზურნეები და საზანდრები. ჯერ ლოტოს სტოლი არ გაემართათ, რომ პრანჭია სოფიო ქალებთან ერთად მდიდრად ჩაცმული გამობძანდა დარბაზიდგან მარაოს ქნევით. თუმცა სისაწყლე თავის ალაგას ემჩნეოდა, მაგრამ იმ ღამეს ისე იყო მოპრანჭული, რომ გეგონებოდათ, ბეგის ცოლიაო. მქრალი ქართული კაბა ეცვა, სარტყელ-გულის პირით, მშვენიერს სახეზედ შუბლს უმშვენებდა წიაღ ხავერდზედ მარგალიტით ნაკერი თავსაკრავი, მხრებზედ წამოსხმული ჰქონდა „სერი პლატოკი“. როგორც-კი ფეხი გამოდგა დარბაზიდგან იმ წამსვე დაუძახა მეზურნეებსა.

— არ გესმით, მეზურნეებო? აბა ერთი კარგი ლეკური დაუკარით. თქმა და დაკვრაც ერთი იყო. აბა, ქალებო, ერთი გახურებული ტაში...

რასაკვირველია, თითონ სოფიომ გაშალა თავისი ფუნჩულა მკლავები და ჩამოუარა. მისი ნაზი და კეკლუცი თამაშობა ყველას აკვირვებდა, ტაშისა და დაფა-ზურნის ხმაურობა ხომ ერთის ვერსის სიშორეზედ ისმოდა. ასე დაუარეს ქალებმა სათითაოდ, ვიდრე კარგად არ მოიქანცებოდნენ.

— აბა, ქალებო, ცოტა ხანს შეისვენეთ და შემდეგ ლოტო ითამაშეთ, ვგონებ დრო არის, წამოიძახა სოფიომ ზარივით წმინდა ხმით: სადა გნებავთ, ზალაში, თუ გარედ?..

— გარედ, გარედ, ბალკონზედ, ზალაში დაგვცხება.

ამ დროს საზანდარ ისმაილმა გამართა თავისი რვა სიმიანი თარი და დაუწყო ტკბილის ღუღუნით დაკვრა; ამ ღუღუნს ალი-აჰკარამ, დაირით ხელში, თავისი რაკრაკა ხმით სიმღერა დაურთო...

დაბეზღებული

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვილო გოგონა, რომელმაც ჯერ არ იცის, რა არის სიყვარული, რა მნიშვნელობა აქვს კოცნას, ისეთის სინამდვილით დაგვიხატა ქ-მმა საფაროვისამ, რომ უკეთესს ვეღარც-კი წარმოიდგენს კაცი. თეატრში ბლომად იყვნენ რუსის ოპერეტის არტისტები და აღტაცებით უყურებდნენ თავისს „პატრონებსსას“.

გარკი იყო „ხანუმას“ დასასრულს ლეკური და დივერტისმენტად ეს რომ ეკმარებინათ სწორედ კარგი იქნებოდა. უნდა-კი ვსთქვათ, რომ დივერტისმენტში ერთმა სომხის არტისტმა, პეტროსიანმა დიდის გრძნობით წაიკითხა ლექსი: „ვენგრიელი გრაფი“, ხოლო მეორემ ბ-მა არაქსიანმა ურიგოდ არ იმღერა საოხუჯო კუპლეტები. არ შეგვიძლიან საყვედური არ ვუთხრათ აგრეთვე ჩვენს ძვირფასს სტუმარს ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისას. საუკეთესო ლექსები იმღერა, მაგრამ ჰმუნვარე, მწუხარე და დარდიან კილოს მაგიერ, იმის სიმღერას ცხადათ ეტყობოდა დარდიმანდული კილო. ეს კილო სრულიად არ შეეფერება, ჩვენის აზრით, „აღმართ-აღმართ“-ს და სხვა მის მიერ თქმულ ჰანგებს.

წარმოდგენა გათავდა გვიან, მაგრამ მაყურებელი საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა. ვისურვებთ, ხშირად გვენახოს ასე კარგი წარმოდგენა და ასე ბლომად მაყურებელი საზოგადოება. საწყალი ქართული მელპომენა! არც გუშინწინდელ წარმოდგენას დაესწრო ჩვენი დიდ-კაცობა!...

ა. ფ.

◆ ◆

რა სასყიდელს იღებენ დრამატურგები და კომპოზიტორები საფრანგეთში.

„Revue Illustrée“-ს ნოემბრის წიგნში მოყვანილია ცნობანი შესახებ იმისა, თუ რა სასყიდელს იღებენ უფრო შესანიშნავნი დრამატურგები და კომპოზიტორები საფრანგეთში.

იმ პიესებში, რომელთაც თეატრის სცენაზედ წარმოადგენდნენ ხოლმე, რიგიან სასყიდელს არ აძლევდნენ ავტორებს: მათ ეძლეოდათ სასყიდელი მხოლოდ მაშინ, როცა პიესა დაიბეჭდებოდა. არტისტები პიესას არდგენდნენ ავტორის დაუკითხავად და არც რაიმე ჯილდოს აძლევდნენ წარმოდგენილ პიესებში.

გამოჩენილი დრამატურგი კორნელი სჩიოდა: ჩემმა ტრაგედიებმა სახელი და დიდება მომიხვეჭა, მაგრამ ერთი გროშიც არ შემძინაო. უწინ თეატრი ავტორისაგან ყიდულობდა იაფ-ფასად პიესას და პიესა მას შემდეგ თეატრის საკუთრება იყო. ის ჩვეულება, რომ ავტორებს წარმოდგენიდგან შემოსულ ფულში წილი ჰქონდეს უფრო გვიან შემოიღეს. 1653 წელს ტრისტან ლერმიტმა ახალგაზდა მწერალის კინოს პიესა წაუკითხა არტისტებს. ტრისტანი ცნობილი მწერალი იყო და არტისტებს ეგონათ, რომ ეს პიესა თვით ტრისტანის თხზულებაა და ამიტომ 100 ეკიუ (75 მანეთი) შეაძლიეს პიესის ფასად, მაგრამ, გაიგეს თუ არა არტისტებმა, რომ ეს პიესა უცნობის ავტორისა არისო, იმ წამსვე უარი განაცხადეს ფასის გაღებაზედ. დიდის თათბირისა და კამათობის შემდეგ დასთანხმდნენ არტისტები, რომ პიესის ავტორს ყოველ წარმოდგენის შემოსავლიდგან მეცხრე ნაწილს მივცემთო. აი სწორედ მას შემდეგ შემოიღეს წარმოდგენების შემოსავლიდგან ავტორისათვის გონორარის მიცემა. პირველმა მაგალითმა მიბაძვა გამოიწვია და 1697 წელს მთავრობამ კანონად დასდო: „5—მოქმედებიან პიესების წარმოდგენის შემოსავლიდგან ავტორებს მიეცეთ ჯილდოდ მეცხრე ნაწილი, ხოლო 3—მოქმედებიან პიესის წარმოდგენის შემოსავლიდგან—მეთორმეტეო. ასეთმა კანონმა, რასაკვირველია, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია არტისტებ შორის, მაგრამ ვერას გახდნენ.

ცოტა ხანს შემდეგ ბომარშემ დააარსა სააგენტო, რომლის შემწეობითაც ავტორები თავიანთ პიესების გონორარს იღებდნენ თითოეულ წარმოდგენის შემოსავლიდგან. მერე-კი ასეთი სააგენტო პარიჟის ყველა თეატრში დაარსდა. 1829 წელს დრამატურგთა და კომპოზიტორთა საზოგადოებაც დაარსდა. ამ ჟამად პარიჟის დიდი თეატრი წარმოდგენილ პიესების ავტორს აძლევს შემოსავლის 8°/0-ს, Comedie Française—15°/0-ს და სხვა თეატრები 10—12°/0-ს.

მხოლოდ გამოჩენილმა კომპოზიტორმა მოცარტმა ჩაუგდო ხელში გამომცემლებს თავისი საუცხოვო თხზულება, „დონ-ჟუანი“. ამ თხზულების გამომცემელნი გამდიდრდნენ და თვით მოცარტის ძმის-წული ჟოზეფა ლანგე-კი ისე ღარიბად იყო, რომ ქველ-მოქმედთ მიჰმართა შემწეობისათვის. „Revue Illustrée“ სწერს: „მიბრძანდით თეატრის სააგენტოში თვით გასულს და უეჭველად ჰნახავთ იქ რამდენსამე კაცს, რომლებიც ზრდილობიანად ეუბნებიან სააგენტოს კასსირს:—„მე მეიერბერისაგან გახლავარ“.—„მე-კი როსსინისაგან!—“ცოტა კიდევ მოითმინეთ და ნახავთ, რომ კასსირი ამ კაცებს დასტობით გადმოუთვლის ფულსა. ეს ფული წარმოდგენილ პიესების ავტორების გონორარია.

ამის შემდეგ ავტორს წერილისას მოჰყავს საინტერესო მაგალითები იმისა, თუ როგორ სცხოვრობდნენ და ცხოვრობენ გამოჩენილნი დრამატურგები და კომპოზიტორები წარსულ და აწინდელ დროისანი. სკრიბი კარგი ადმინისტრატორი იყო და ქონება ისეთი დასტოვა, რომ წელიწადში 150,000 ფრანკს იძლევა შემოსავალს.

ალექსანდრე დიუმა (უფროსი) უბრალო მოხელე იყო და წელიწადში 1,200 ფრანკი ჯამაგირი ჰქონდა. უფროსისაგან ვინ იცის რამდენი წყენა და დაცინვა აუტანია. დიუმას პირველი თხზულება „Henri III“ 6,000 ფრანკად გაიყიდა, აიღო თუ არა ეს ფული დიუმამ, თავისს უფროსს აჩვენა. უფროსს ძლიერ გაუკვირდა, რომ ერთ პიესაში დიუმას ამოდენა ფული მისცეს და ჰკითხა: რამდენ ხანს დასწერე ეგ პიესა?—ორ თთვესაო, მიუგო დიუმამ და დასძინა: ამ ფულს გარდა 15,000 ფრანკი კიდევ მერგება ამ პიესის წარმოდგენიდგანაო. „მაშ, როგორც სჩანს, ორ თთვეში შენ აგიღია, უთხრა უფროსმა, სამი სტოლის უფროსის წლიური ჯამაგირიო“

— „მოიწვიეთ თქვენი სამი სტოლის უფროსი და აბა ასეთი პიესა დასწერენო, მიუგო დიუმამ.

დიუმა—შვილმა თავის პიესას „Damezaux Camelias“-ში 20,000 ფრანკი მიიღო და „Trancillon“-ში 60,000 ფრანკი მხოლოდ მისთვის, რომ უცხო ენებზედ გადათარგმნის ნება დართო.

მეიერბერის ოპერები 3,000-ჯერ წარმოუდგენია პარიჟის დიდ თეატრში და 30 მილიონი ფრანკი აუღიათ წარმოდგენებიდგანთ. მისი „გუგენოტები“ 886-ჯერ არის წარმოდგენილი.

როსსინიმ პირველი პიესა „სევილიელი დალაქი“ რ1,500 ფანკად გაჰყიდა, მაგრამ შემდეგ ამ პიესამ ისეთი სახელი მოიპოვა, რომ ამ ერთის პიესის წარმოდგენიდგან წელიწადში 80,000 ფრანკი ჰქონდა.

ვიქტორ ჰიუგოს 5 მილიონი ფრანკი ფული დარჩა. 1884 წელს 100,000 ფრანკი აიღო მხოლოდ მისთვის, რომ ნება დართო თავის თხზულებათა დაბეჭდვისა. ვიქტორ ჰიუგოს თხზულებათაგან ამ ჟამად წელიწადში 50,000 ფრანკი შემოსავალი აქვთ მემკვიდრეთ.

ჟორჟონეს შემოსავალი რომანებისა და პიესებიდგან 1885 წელს ნახევარ მილიონ ფრანკს აღემატებოდა.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ—ამბობს გაზეთი „Illustre“,—რომ დრამატურგების ხელობა ძლიერ შემოსავლიანია. როსსინიმ ერთხელ თავისი წლიური შემოსავალი იანგარიშა და ანგარიშის ბოლოს მოაწერა, ამისთანა შემოსავლით კაცი სიმშილით არ მოკვდებაო.

◆ ◆

რუსეთი

„Петерб. Вѣд“-ის სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს გადუწყვეტია, დაურიგდეს დამშეულ გუბერნიების გლეხებს 5 მილიონი მანეთი ზამთარში გამოსაკვებავად და გაზაფხულზედ ყანების დასათესად.

— „Новость“-ის სიტყვით, პროფესორს მ. ი. ლამანსკის დაუბეჭდავს თავისი დიდად საინტერესო და ვრცელი თხზულება: „Экономическій этюдъ“, რომელშიაც ინდოეთის მდგომარეობაა გამოკვლეული. გაზეთის სიტყვით, ეს თხზულება დიდს განძს შეადგენს რუსეთის მწერლობისას და მასთან დიდად საინტერესოა მით უფრო, რომ მარტივის ენითაა დაწერილი. წიგნს ორი განყოფილება აქვს. პირველ განყოფილებაში აღწერილია მოუსავლობა ინდოეთში და ნაჩვენებია, თუ რა საშუალებას ხმარობენ ინდოეთში მოუსავლობით დაზარალებულთა დასახმარებლად. წიგნის მეორე განყოფილებაში დასურათებულია თანამედროვე ინდოეთი. შესანიშნავად და მკაფიოდ გვიხატავს ავტორი ყოველნაირ მოქმედებას და სიცოცხლის მოძრაობას ამ აუარებელ მცხოვრებთა ქვეყანას. წიგნის ამ განყოფილებაშივე ავტორი გვიჩვენებს იმ ღონისძიებათა და საშუალებათ, რომელნიც უხმარია ინდოეთის მთავრობას, რომ მომავალში მაინც აიცდინოს ჰირნახულობის მოუსავლობა და მისი სამწუხარ-სავალალო ნაყოფი—სიმშილი. ასეთ საშუალებად ინდოეთის მთავრობას უცვნია: რკინის გზების და გზა-ტკეცილების გამართვა მთელის ქვეყნის სიგრძე-სიგანეზე, სარწყავ-თხრილების გაყვანა, მიწის-მფლობელობის წეს-რიგის შეცვლა, მეურნეობის გაუმჯობესობა, ახალ სამეურნეო სამინისტროსა და პროვინციებში დეპარტამენტების დაარსება, სახალხო განათლების გავრცელება და სხვა და-სხვანი.

— „Правит. Вѣстн.“-ში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობანი 1890 წლის სახელმწიფო ბანკის ანგარიშიდგან შესახებ იმისა, თუ რამდენი ქაღალდის ფული ტრიალებდა აღნიშნულ წელს რუსეთში. 1890 წელს სულ იყო 1,046,295,384 მანეთის ქაღალდის ფული; ამ ფულისა კერძო კაცებსა და დაწესებულებათა ჰქონდათ 907,416,698 მანეთისა და დანარჩენი-კი სახელმწიფო ბანკსა, მის განყოფილებათა და კანტორებში ინახებოდა. ამ ფულებიდგან უმეტესი ნაწილი მანეთიანები იყო (48,5°/0(და ყველაზედ ნაკლები ას მანეთიანები. ხოლო რაოდენობით ას მანათიანები ქაღალდისა დანარჩენ ფულს აღემატებოდა (43,9°/0 შეადგენდა) საყურადღებოა აგრეთვე ის ცნობანი, რომელნიც ყალბ ქაღალდის ფულის მოჭრის შესახებაა. 1890 წელს სახელმწიფო ბანკში და დაცემულა დასაწვავად 166,380 ცალი ყალბი ქაღალდის ფული 1,521,687 მანეთისა.

— წარსულ წელს, „Петербур. Вѣд.“-ს სიტყვით, ქ. ოდესაში 413 ქარხანა იყო. ამ ქარხნებიდგან გაყიდულა 27,535,976 მანეთის საქონელი. ამოდენა წარმოების მიხედვით საფიქრებელი უნდა ყოფილიყო, რომ მუშების ეკონომიური მდგომარეობაც საუკეთესო იქნებოდა; მაგრამ, ბ. გერენშტეინის სიტყვით, ქ. ოდესაში, მუშების უბანში 70,000 სულია ისეთნი, რომელნიც ისე შეწუხებით ცხოვრობენ, რომ ერთ ოთახში ხუთი სულია თურმე მოთავსებული. გერენშტეინს დაუვლია მუშათა უბანი, უნახავს მათი სახლები, დაჰკვირვებია მათ ცხოვრებას და დარწმუნებულა, რომ ასეთი ცხოვრება ძლიერ ძნელოა ადამიანისათვის, რაც უნდა ჯანმრთელი იყოს. სხვა-და-სხვა სენს მუშათა სახლებში სამუდამო ბინა გაუკეთებია და მუსრს ავლებს ხალხსაო. ასეთმა გარემოებამ გავლენა იქონია ოდესის გარდაცვალებულთა რიცხვზედაც. ასე რომ ექიმის დიატროპტოვის სიტყვით, 1890 წელს ქალაქ ოდესაში სულ 8,151 სული გარდაცვლილა და აქედგან გადამდებ ავადმყოფობით 3,332 სული, რაიცა 40,9°/0 შეადგენს გარდაცვალებულთა რიცხვისას.

— 5—12 ნოემბერს, ერთის კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გამხდარა და გარდაცვლილა: პოდოლის გუბერნიაში ავად გახდა 1,033, გარდ. 375, კიევის გუბერნიაში ავად გახდა 599, გარდ. 168; ბესსარაბიისაში—ავად გახდა 304, გარდ. 106; ტამბოვისაში—ავად გახდა 256, გარდ. 13; ხერსონისა—ავად გახდა 128, გარდ. 63; კურსკისა—ავად გახდა 100, გარდ. 54; რადომსკისა—ავად კახდა 97, გარდ. 38.

სულ ამ ერთის კვირის განმავლობაში რუსეთში ავად გახდა ხოლერით 2517 სული, გარდ. 817.

◆ ◆

უცხოეთი

გერმანია. რეიხსტაგის მუშაობის დაწყების დღეს თვით ხელმწიფე დაესწრო და, ეტყობა, მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ თავისი სამხედრო პროექტი შეაწყნარებინოს. თუ ხარჯისა შეგეშინდებათო, ამბობს მთავრობა, ისე მოვახერხებთ, რომ ხაზინამ გროშიც არ დახარჯოს ჯარის მომატების გამო: ღვინოს, ლუდს და ბირჟის აღებ-მიცემას რომ პატარა, სულ მცირე გარდასახადი დავადოთ, ხარჯი აღარა მოგვინდებარაო. ბირჟის აღებ-მიცემის გარდასახადს რომ თავი დავანებოთ, რადგან ის უფრო შემძლებელს გამოერთმევა, ღვინოსა და მეტადრე ლუდის ბაჟი პირდაპირ მუშა ხალხის ისეც დაცარიელებულ ჯიბეს დააცარიელებს და ძალიან საგრძნობელიც იქნება, იმიტომ-რომ გერმანელისთვის ლუდი აუცილებელი მოთხოვნილებაა. მაგრამ ამიტომ-კი არ არის მთელი გერმანია ამ პროექტის წინააღმდეგი—ლუდს რად შეეხევითო; არა, ასეთი ფიქრი გერმანელის შესახებ მისი შეურაცყოფა და მასხარად აგდება იქნება. ხალხი დიდი ხანია თვალ-ახელილია და ყოველსავე კარგად ჰხედავს. თვით პოლონელებმაც-კი, რომელთაც, თევზისა არ იყოს, პირი წყლითა აქვთ სავსე, იმათაც-კი ასე სთქვეს: „ხარჯს ნუ მოგვიმატებთ, მეტის გაღება აღარ შეგვიძლიან; რომ იყოს, თქვენი ჭირის სანაცვლო გახლდეთ, მაგრამ რა ვქნათ, რომ აღარა გვაქვს-რაო“? პოლონელნი ამ სახით უარ-ჰყოფენ პროექტს, გერმანელნი-კი სხვა გვარად ეწინააღმდეგებიან: ჩვენ აღარა გვსურს, ბევრიც რომ გვქონდეს, კიდევ რამ დავხარჯოთ ჯარისა და მხედრობის გასაძლიერებლადაო. მართლაცა და ხარჯი ერს ისეც საკმარისი აწევს, მრეწველობა სუსტდება და მუშა-ხალხი უსაქმოდ და, მაშასადამე, ულუკმა-პუროდ არის. ამისთანა გარემოებაში ხალხს აღარა მოეთხოვება-რა. სოციალ დემოკრატები გერმანიაში ორ მილიონამდის იქნებიან, თვით რეიხსტაგში 36 წარმომადგენელი ჰყავთ და ამათ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პროექტის ბედ-იღბლისთვის. გარდაწყვეტილება ამ წარმომადგენელთ-კი ასეთი დაუდგენიათ ერთხმად: „ხალხი თავის დღეში არ გვაპატივებს, რომ ახალ სამხედრო პროექტს ჩვენც მხარი მივცეთ; ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ჯარისა და ომისა, მის მოსპობას ვცდილობთ და ვეცდებით, ვიდრე ბოლოს არ მოვუღებთ; ჩვენის აზრით, ისიც ბევრია, რაც დღეს გვერთმევა ჯარისა და მხედრობისათვის; ისიც გულს გვიკლავს, რომ, რაც დღეს ჯარისთვის იხარჯება, განათლების მოფენასა და სწავლა-ცოდნის გავრცელებას არა ჰხმარდება“-ო.

ასეთი სამზადისი და შეიარაღება ჩვენის სახელმწიფოსი ომის ნიშანია და არა მშვიდობიანობისა; ჩვენ ერთგროშსაც არ გავიღებთ სამხედრო პროექტის განხორციელებისათვის“.

ავსტრი-ვენგრია. იმ დროს, როდესაც რეიხსრატში ჩეხი მასარიკი სიხარულით ამტკიცებდა, ხელმწიფისაგან 1871 წ. მონიჭებულს ჩვენს ავტონომიას ვერავინ შეეხებაო, სლავიანების მოწინააღმდეგე დეპუტატმა მენგერმა დაიძახა: ჩეხები სახელმწიფოს მოღალატენი ხართო! შეურაცყოფილმა ჩეხებმა კარგად გამოიყენეს ეს შემთხვევა და მეორე დღესვე გავლენიან კაცთა მემამულეთა თანა-დასწრებით გამოაცხადეს, ავსტ-

რი-ვენგრიაში სრულიად თავისუფალი სახელმწიფო უნდა იყოს დაარსებული, სახელმწიფო ჩეხებისაო; ცხადია, რომ დიდად აღაფრთოვანებს ჩეხის ერს ასე თამამად და გაბედვით გამოთქმული სურვილი მისთა წარმომადგენელთა. აქამდე ყველასთვის საიდუმლო წადილი, გულის სიღრმეში ჩამალული, ახლა ვაჟკაცურად არის აღიარებული. ეტყობა ახლოა ის სანატრელი დრო ყველა დაჩაგრულ ერისათვის ავსტრი-ვენგრიაში, როდესაც უცნაურად შეკოწიწებული სახელმწიფო ავსტრი-ვენგრიისა დამყარდება უკეთესსა და უმტკიცესს საფუძველზედ ავსტრი-ვენგრიის თითოეულ ერისა და ტომის სრულს ავტონომიაზედ.

◆◆

წვრილი ამბავი

წარსულ წლის ოქტომბრის თვეში ფრანგ-მლოცველებმა რომის პანტეონში ინახულეს ვიქტორ ემმანუილის აკლდამა და იმ წიგნში, რომელშიაც პანტეონის მნახველები თავიანთ სახელ-გვარს სწერდნენ, ხუმრობით ჩასწერეს შემდეგი სიტყვები: „გაუმარჯოს პაპა-კოროლსაო!“ ასეთის ხუმრობისთვის ეს ფრანგები რომიდგან განაძევეს.

კლერიკალთა ერთმა გაზეთმა „Sguilla“-მ ეს გარემოება ახსნა იმით, რომ ფრანგმა სონებმა ადვოკატ ტოცცონის ჩაგონებით და ცბიერებით თითონ ჩასწერეს ზემოთ მოყვანილი სიტყვები პანტეონის წიგნში, თითონვე ასტეხეს ალიაქოთი და სხვები-კი გააძევესო. ტოცცონმა შეურაცყოფისათვის სასამართლოში უჩივლა გაზეთის რედაქტორსა და გამომცემელს. რედაქტორიც და გამომცემელიც სასამართლომ დამნაშავედ სცნო და ათის თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა. ბრალდებულთ უმაღლესს სასამართლოში გადიტანეს საჩივარი, მაგრამ უმაღლესს სასამართლოსაც დაუმტკიცებია ეს განაჩენი.

— იმ გენერლებს, რომელთაც უნდოდათ იტალიის საპოლიტიკო ასპარეზზედ მოღვაწეობა და ამატომ თავისი კანდიდატურა განაცხადეს იტალიის პარლამენტის არჩევანების დროს, კარგი დღე არ დაადგათ. არც ერთი არ იქმნა ამორჩეული! გააშავკანჭეს ამორჩევ არჩევანებზედ ისეთი გენერლებიც-კი, როგორნიც არიან პელლუ, იტალიის ახლანდელ სამხედრო მინისტრის ძმა, გრანდოლიერი, კოროტტო, ველლინი და კონციო. თვით მეფის დაახლოვებულ გენერალ ადამოლს ისე ცოტა ამოუვიდა თეთრი კენჭი, რომ ხელ-მეორედ უნდა უყარონ და ვინ იცის, ეხლა იქნება სულ გააშავ-კენჭონ.

— შანხაიდგან დეპეშით აცნობებენ ინგლისის გაზეთ „Times“-ს, რომ ორმა ახალგაზდა კაცმა, ამერიკის სტუდენტებმა ველოსიპედით შემოიარეს აზიის ქვეყნებიო. აზიის ქვეყნების ხალხი ყველგან სულითა და გულით ეგებებოდა მამაცთ და გამბედავ სპორტსმენებს, თუმცა დიდად განცვიფრებულიყვნენ ამ ახალ მატარებლის ნახვით.

— ელზას-ლორენშიაც უქმობენ კვირა დღეს, მაგრამ ისე მკაცრად და სასტიკად-კი არ არის აღკრძალული ვაჭრობა და ყოველ გვარი გასართობი, როგორც ინგლისში. მაგალითად, ქალაქ მეცში კვირა დღეობით 10 საათის განმავლობაში ვაჭრობის ნება აქვთ გარდაცვალებულთათვის გვირგვინების მყიდველთ, დუქნები მხოლოდ დილის 9—11 საათს დაკეტილ უნდა იყოს. თამბაქოს მოვაჭრეებს მხოლოდ ხუთ საათს შეუძლიანთ ივაჭრონ კვირა დღეებში. ამიტომ ამათ მიურთმევიათ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრისათვის თხოვნა, რომ უფრო მეტ ხანს ვაჭრობის ნება დაგვრთეთო. მინისტრს არ შეუწყნარებია მათი თხოვნა. იმავე დროს წაბლის მყიდველებსაც უთხოვნიათ მინისტრისათვის, კვირა დღეებში წაბლის ვაჭრობის ნება გვიბოძეო. მინისტრმა ამათ არამც თუ კვირა დღეებში, სულ ყველა უქმე დღეებში ვაჭრობის ნება მისცა. რა ბედნიერნი ყოფილან წაბლის მოვაჭრენი და თამბაქოს მოვაჭრენი-კი რა უბედურნი?!

— ვენელ ბუნების-მეტყველსა და მეცნიერს ანტონ აბრაჰამს განზრახვა აქვს, თავის ცოლთან ერთად გაემგზავროს შესასწავლად და გამოსაკვლევად ახალ გვინეისა და სოლომონის კუნძულებისა, სადაც კაცის მჭამლები სცხოვრობენ. ეს პირველი მაგალითი იქნება, რომ ამ კუნძულებში ევროპიელი მიემგზავრება და ძლიერ საშიშიც უნდა იყოს ეს მოგზაურობა.

— გამოჩენილს მეცნიერს პასტერს 15 დეკემბერს სამოც-და ათი წელი შეუსრულდება დაბადებიდგან. ამიტომ სამკურნალო განყოფილებას საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიისას შეუდგენია კომიტეტი, რომელსაც დაუვალა შეაგროვოს შემოწირულებანი და მით დიდებულ სწავლულს საპატიო და ღირსეული საჩუქარი უძღვნან დღესასწაულობის დღეს, 15 დეკემბერს. კომიტეტის საზოგადოებისადმი მიმართულ წერილს ქვეშ ხელი უწერიათ: მარესა, შარკოს, ბროუნსეკარს, ბრუშარდს, ვერნეილს, გიუიონს დიუკლოს და გრანშერს.

◆◆

დეპეშა

19 ნოემბერი

ვაშინგტონი. განზრახვა აქვთ, ერთის წლის ვადით ამერიკაში უცხო ქვეყნებიდგან გადმოსახლება აკრძალონ.

პარიჟი. ბრისსონი მხოლოდ გუშინ შეუდგა ახალის კაბინეტის შედგენას. გაზეთები ამტკიცებენ, რომ ბრისსონი ეცდება მიიშველიოს სამსახურიდგან გადამდგარნი მინისტრნი, განსაკუთრებით რიბო და ფრეისინე. ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, რომ ბრისსონი, შეადგენს თუ არა ახალს ბინეტს, საბჭოს პრეზიდენტის ადგილს ბურჟუას დაუთმობსო. „Le Journal“-ი დაბეჭდილია, როგორც თვით გაზეთი ამბობს, სამთა კავშირის განახლებულ ხელ-შეკრულობის თარგმანი. ამ ხელშეკრულობის მეოთხე მუხლის ძალით, თუ გერმანიასა და რუსეთს შორის ომი ასტყდა, იტალია საფრანგეთის საზღვარზედ შეაგროვებს ჯარებს და საფრანგეთს გამოუცხადებს ომს, ვინიცობაა იგი რუსეთს მიემხროს; თუ იტალიასა და საფრანგეთ შორის შეტაკება მოხდა, ასევე მოიქცევა გერმანიაც.

ბერლინი. დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ მეუღლითურთ გუშინ საუზმე მიირთვეს მეკლენბურგის ჰერცოგ იოჰან-ალბრეხტთან; საღამოს 7 საათზედ იმპერატრიცასთან დიდი სადილი გაიმართა; მიწვეული იყო 30 სული. ღამის 11 საათზე მათი უმაღლესობანი პეტერბურგს წაბრძანდნენ.

გრაფმა კაპრივიმ სთქვა რეიხსტაგში, რომ, როგორც ამ ერთის წლის წინად ვამტკიცებდი, ეხლაც დარწმუნებული ვარ, იმოდენა ჯარს არა ვკრებთ, რამდენის მოკრებაც შეგვიძლიანო. კანცლერის სიტყვით, ყოველის მხრივ დიდი შეცდომაა ხნიერ კაცების ჯარში გაყვანა, მაშინ როდესაც 60,000-მდე ახალგაზდა კაცი გვყავს ჯარისთვის გამოსადეგიო.

ჩვენ გვსურსო, სთქვა დასასრულ კანცლერმა, ჩვენი ჯარი გავაძლიეროთ, განვაკარგოთ და ამიტომ ამ ჯარისთვის ახალგაზდა კაცები უნდა გავიწვიოთო.

20 ნოემბერი

ლონდონი. დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ გაემგზავრებიან ფანდოროს და სადარბაზოდ მივლენ გადაყენებულ იმპერატრიცა ევგენიასთან.

ბომბეი. ჩიტრალში გაგზავნილი ჯარი, რომელსაც ჰმეთაურობს მაიორი დანიელი, იმ ადგილას დაბანაკდა, სადაც მდინარე უასინი მილჩიტს ერთვის; აქეთგან ჯარი თვალყურს ადევნებს ჩიტრალის გზებს. ბრიტანიის აგენტი, პოლკოვნიკი დიურანდი ვილჩიტიდგან გაემართა და თავის ჯარით შეუერთდება მაიორ დანიელის ჯარს.

პარიჟი. ბრისსონის მომხრენი ამბობენ, რომ მას გარდაწყვეტილი აქვს, ახალს კაბინეტს უეჭველად შეადგენ, იმ შემთხვევაშიაც-კი, თუ ვინიცობაა ის რამდენიმე კაცი, ვისიც იმედი მაქვს, არ დამეხმარა ამ საქმეშიო.

დოდსს ვიდიხის, მცხოვრებთაგან პასუხი მოუვიდა, მზადა ვართ საფრანგეთის მთავრობას დავემორჩილოთო.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ნოემბ.

	მყიდვე-ლისა.	გამყი-დველისა.	გაყიდუ-ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	$8_{,07}$	$8_{,11}$	— „
ტამოჟნის კუპონები .	$161^{3}/_{4}$	$162^{1}/_{2}$	— „
მანეთიანი ვერცხლის ფული	$1_{,08}$	$1_{,10}$	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	$242^{1}/_{2}$
—მეორისა	— „	— „	$221^{3}/_{4}$
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— „	— „	$193^{1}/_{2}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	102	— „	— „
5%.	$99_{,62}$	— „	— „
ქუთაისის ბანკისა 6%.	102	— „	— „
5%.	$99_{,87}$	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98	— „	— „

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დილით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიძლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დილით.

სამშაბათობით: დილით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან. დილით,

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის ათ საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოაც.

ნიხრი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 6 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა 1892 წლის 10 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, გამგეობის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის აგარაკ კუკიის იჯარით გაცემისა, სივრცით 888 დესიატინა და 1800 ოთხ-კუთხი საჟენი, საძოვარი, სახნავ-სათესი და სათიბი ადგილი 3 წლის ვადით, 1893 წლის 1 იანვრიდგან 1896 წლის 1 იანვრამდე. პირობათა შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე ქალაქის გამგეობის კანცელარიაში, დილის 10 საათიდგან 1 საათამდე. (3—1)

„ქართველთა ამხანაგობის“

წიგნის მაღაზიაში და ამხანაგობის აგენტებთან იყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

თხზულებანი ილ. ჭავჭავაძისა.

ფასი

I ტ. ლექსები და პოემები, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი . . . 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით და კარგ ქაღალდზედ . . . 2 მ. 50.
II ტ. მოთხრობები . 1 მ. „
იგივე კარგ ქაღალდზედ და ყდით . . . 2 მ. 50.
IV ტ. „იზა“ რომანი ბუვიესი, თარგმანი . . 1 მ. 60.
იგივე, კარგ ქაღალდზედ 2 მ. 50.

თხზულებანი ყაზბეგისა:
I, II, III და IV ტ. ამ ტომებში მოთავსებულია სხვათა შორის: ელგუჯა, მამის მკვლელი, მოძღვარი, ელისო, ხევის ბერი, გოჩა და სხვ. , 4 მ. 80.
ცალკე თითო ტომი . 1 მ. 20.
იგივე, კარგ ქაღალდზედ და ყდით, ოთხი ტომი . 9 მ. 50.
ცალკე თითო ტომი . 2 მ. 50.
თხზულებანი ი. დავითაშვილისა, ავტორის სურათით . „ 80.
იგივე ლამაზის ყდით , 1 მ. 25.
„ბნელო“ მოთხრობა მელანიასი (ფსევდონიმი) . „ 40.
იგივე, ლამაზის ყდით . „ 90.
სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . „ 20.
ხალხური ზღაპრები წ. I „ 30.
იგივე, ლამაზი ყდით . „ 75.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა—პოემა ბაჩანასი . „ 15.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭმელებისა . . . 1 მ. 20.
იგივე ყდით . . . 1 მ. 40.
„ჩანგი“ . . . . 1 მ. „
კედლის კალენდარი 1893-წლ. . . . . „ 40.

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—141)

ხოლერა
მესტვირული შაირები
აკაკისა
იყიდება შაურად
ტფილისსა, ქუთაისს და სხვაგანაც, ყველგან, სადაც, ან ვისთანაც ქართული წიგნები იშოვება სასყიდლად.

Доз. ценз. Тифлисъ, 20-го Ноября 1892 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.